



გაზეთი გაეშალა
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამბრაღიის

N4 (9220)

10 თებერვალი, 2017 წელი

ფასი 50 თეთრი



მაგალიტა ქვეყანაში ანუ გვანახებენ?

კონკურსი ადგილობრივ თვითმმართველობაში **2**

მიწების ლეგალიზება გრძელდება

“გადაღების მეტი რა გვითქმის” **5**



საუბრა პირადი სოციალურად დაუხვედრებს **2**

მე ვარ ქართველი, მაუასაღამე, მე ვარ ევროპელი **4**

ევროპისთვის რასხრობებს მთელი საქართველოს ყოფნილობას



პირველი ტაქარი წმინდანის სახელობა

იმპერიულმა კალაბრამ ქართველი ქართველს გადაჰკიდეს **7**



მოგ კიბუნა და ელევი ბოლქვაძის ონი ოქრო



5

ღანირისა და ნაბაკევის საბავშვო ბაღებისათვის თანამედროვე ტიპის შენობები აუენდება

საკრებულო მორიგი სხდომა გაიმართა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ჯაბურია უძღვებოდა 6 თებერვალს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომას, რომელმაც 11 საკითხი განიხილა.

განსახილველ საკითხთა შესახებ სხდომას კომისიათა თავმჯდომარეებმა შალვა არზუმანიანმა და მერაბ უდრელიძემ მოახსენეს.

იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა მანანა სირბილაძემ განსახილველად გამოიტანა საკითხი "ქალაქ სამტრედიის კოსტავას ქუჩაზე მდებარე სკვერისათვის ვალერიანე კოპალეიშვილის სახელობის მინიჭებისა და ამ სკვერში ვალერიანე კოპალეიშვილის ბიუსტის დადგმის თაობაზე".

საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ სამტრედიის, კოსტავას ქუჩაზე არსებულ სკვერს (1974 კვ.მ.) მიენიჭოს ვალერიანე კოპალეიშვილის სახელი.
 2. კოსტავას ქუჩაზე მდებარე ვალერიანე კოპალეიშვილის სახელობის სკვერში დაიდგას ვალერიანე კოპალეიშვილის ბიუსტი.
- საკრებულომ განიხილა რიგი სხვა საკითხები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ლევან ბაგრაძე



კონკურსი ადგილობრივ თვითმმართველობაში

2016 წლის ბოლოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 15 ვაკანსიაზე კონკურსი გამოაცხადა. აპლიკანტებს პირველი ეტაპი გავლილი აქვთ. მუნიციპალიტეტის გამგეობის კაბინეტში 1 თებერვალს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრები ხელახლა შეიკრიბნენ, რათა განეხილათ საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები. კომისიის თავმჯდომარის, ვალერიანე ფოცხვერიასა და თითოეული წევრის წინაშე აღნიშნული ინფორმაციით კომისიის მდივანი, ია ხოშტარია გამოვიდა: "სულ იყო 15 ვაკანსიური ადგილი. აქედან 150-მა აპლიკანტმა შეაქვს განაცხადი. გადარჩევის პირველი ეტაპი 122-მა გადალახა. ვინაიდან ერთ აპლიკანტს რამდენიმე ვაკანსიაზე შეუძლო განაცხადი გაეთქვამებინა, სულ 70 კონკურსანტი გვყავს მე-2 ეტაპზე".

"სამტრედიის მაცნეს" მკითხველს შევახსენებთ, რომ 2016 წლის დეკემბერში სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 15 ვაკანსიაზე კონკურსი გამოაცხადა. 150 აპლიკანტიდან სასურველი პოზიციის დასაკავებლად 70 პიროვნება შეირჩა, რომლებიც მეორე ეტაპს - წერით გამოცდას ჩააბარებენ.

კომისია შეთანხმდა, რომ წერითი გამოცდა 14 თებერვალს ორ ეტაპად, დილის 10 საათსა და 14 საათზე ჩატარდება. სამუშაო დრო სამი საათით განისაზღვრა.

შეტყობინებები კონკურსის მონაწილეებს 2 და 3 თებერვალს ელექტრონულ ფოსტაზე დაეგზავნათ. წერითი გამოცდის საკითხების ირგვლივ კომისია მომდევნო სხდომაზე შეჯერდება.

ვალერიანე ფოცხვერია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მდივანი: "ადრე კონკურსში მონაწილეები იუსტიციის სამინისტროში კომპიუტერთან აბარებდნენ გამოცდას. ამჯერად სამტრედიის მუნიციპალიტეტში აბარებენ. კონკურსანტებს დაურიგდებათ სპეციალური ბლანკები. კითხვები იქნება დაახლოებით ერთგვაროვანი, რაც კანონში არის მითითებული. განსხვავებული საკითხები იქნება მხოლოდ არქიტექტურის მიმართულებით, სადაც გვინდა კვალიფიციური კადრი შეირჩეს".

ნინო ნახიტაშვილი



საუბე მანქანი სოციალურ დახმავებას

ნინო ნახიტაშვილი

სოციალურად დაუცველი ზაკალაშვილების ოჯახი მელაურის თემის სოფელ ხიბლარში ნათესავის მიტოვებულ სახლში ცხოვრობს. ქალბატონი იზოლდა თბ-

ლკაროები ვართ, დროებით სხვის სახლში შევედგებოდა. გთხოვთ, მიაწვდინოთ "იანანას" ფონდს ხმა და ბინით უზრუნველყოფაში დაგვეხმარონ".

იზოლდა ზაკალაშვილმა მუნიციპალიტეტის გამგეობას რამდენჯერმე მიმართა. ერთჯერადი ფულადი დახმარების გარდა სოციალურად დაუცველი ქალბატონი გამოსახმარებლად სამუშაო მერქანს ითხოვდა. გაჭირვებულ ოჯახს რეკომენდაცია მელაურის თემში გამგებლის წარმომადგენელმა, სოფიო კეკელიძემ გაუწია.

1 თებერვალს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებით კეთილმოწყობის სამსახურს თანამშრომლებმა ერთი მანქანა სამუშაო მერქანი მელაურის თემში წაიღეს. ტრანსპორტირება კომუნალურმა გაერთიანებამ უზრუნველყო. ნახევარი მანქანა ხიბლარში ზაკალაშვილების ეზოში მცხოვრები ახობაძეების ოჯახში მიიტანეს. სოციალურად დაუცველი მარტოხელა ციალა ახობაძე სახლში მი-



ილისიდან უბინობამ და ავადმყოფობამ წამოიყვანა. ფსიქიურად დაკარგული მუდღე ამჟამად სასჯელს იხდის, სახლში კი მოსავლელად ეპილეფსიით დაავადებულები, ლოგინად ჩაუარდნის 8 წლის დედაბიძგი და არასრულწლოვანი შვილი ჰყავს.

ზაკალაშვილების ოჯახი უკიდურესად გაჭირვებულია. პენსიისა და დახმარების თანხა მათ წამალში და საჭმელში არ ჰყოფნით. განსაკუთრებით გაუსაძლისი პირობებში ზამთარში აქვთ.

იზოლდა ზაკალაშვილი: "თქვენი თვალთ ხედავთ, სად და რა პირობებში ვცხოვრობთ. ინვალიდი, ეპილეფსიანი 8 წლის დედაბიძგი მყავს, რომელსაც ნორმალურად ვერ ვმკურნალობთ. ავადმყოფი შვილსაც ვერაფრით ვშველი. უსახ-

ზოფრენით დაავადებულ ძმას მკურნავობს.

ციალა ახობაძე: "გთხოვთ, ყველას, ვისაც შეგიძლიათ, დაგვეხმაროთ. ვარ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. სახლი თავზე გვექრება, ავარიულ შენობაში ვც-

დიდთოვლობა სოფლებში

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გაღმა ზონის მაღალმთიან სოფლებში დიდთოვლობამ ადგილობრივ მოსახლეობას პრობლემები შეუქმნა. გზის გასაწმენდად ტექნიკის მობილიზება გახდა საჭირო. მიმდინარე სამუშაოებს გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია ადგენებდა თვალს. იმ დღეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ტოვლების თემში გზის გაწმენდითი სამუშაოების ოპერატიულობა და ხარისხი შეამოწმეს.

ვალერიანე ფოცხვერია განმარტებით: "მაღალმთიან სოფლებში მძიმე სიტუაცია გვაქვს. კორმალაი, გამორჩეული, ზემო ნოლა, ნიგორზღვა, წიაღუბანი, ოფეთი - ამ სოფლებში მეტ-ნაკლებად რთული მდგომარეობაა შექმნილი. ჩვენი მუნიციპალიტეტი დიდთოვლობას მზადყოფნაში დახვდა, ამდენად, თავს ვართმევთ პრობლემებს".

ტოვლების მსგავსად საავტომობილო გზა გაიწმინდა ოფეთის, გომის, საჯავახოს მაღალმთიან სოფლებში. საჯავახოს თემში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის შავლეგ თარგამაძის ინფორმაციით თოვლის საფარმა 70 სანტიმეტრს მიაღწია, უხვი თოვლი მოვიდა. ამის მიუხედავად, შეფერხება არსად გვაქვს. დროის ნებისმიერ მონაკვეთში შეგვიძლია, მივმართოთ ადგილობრივ ხელმძღვანელობას. დახმარებას ვღებულობთ როგორც სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან, საჭიროების შემთხვევაში, ასევე რეგიონიდან, ცენტრალური ხელისუფლებიდან".

მუნიციპალიტეტის გამგებელმა იმავე დღეს ტოვლებში ის მშენებარე ობიექტები მოინახულა, რომლებიც მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება. ესენია მდინარე ხევისწყალზე მშენებარე ორი ხიდი, ერთ-ერთი მათგანი ტოვლებს ნოლასთან დააკავშირებს.

ნინო ნახიტაშვილი



ხოვრობ შიშოფრენით დაავადებულ ძმასთან ერთად. მუშობლები რომ არ გვეულოდნენ, დიდი ხნის დახმარება ვიქნებოდით. დღეს სოფიო კეკელიძემ შემა მოგვიტანა, მითხრა, გამგებელმა გამოგვავანათო. მაღლობის მეტი რა მეთქმის. თუ კიდევ იქნება საშუალება, გთხოვთ, იქნებ მომავალშიც გავვიწიოთ დახმარება".



პირველი ტაძარი წმინდანის სახელზე

თბილისი

წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარი სამტრედიის საკათედრო ტაძრის მსგავსად, ამ წმინდანის სახელზე რომ აშენდა. უკვე მეხუთე წელია, მასში წირვა-ლოცვა ქვეყნისა და სამტრედიის აღმშენებლობისთვის მიმდინარეობს. წლებიდან დავიწყებთ მოკრძალებულად აღნიშნეს ტაძარში. ტრადიციულად წირვა გაიმართა, სადაც მუნიციპალიტეტის ყველა ეკლესიის მოძღვარი ერთად წირავდა. საქართველოში არყოფნის გამო მას მეუფე საბა ვერ ესწრებოდა.

მრევლი გულმხურვალედ ლოცულობდა. გალობის ხმა ტაძარს ეფინებოდა.

“დავით აღმაშენებლის სახელი განათლებას, მაღლმეფეობას, სახელმწიფოებრივ ძლიერებას უკავშირდება საქართველოში. მისმა იდეებმა ქვეყანა “ოქროს ხანაში” შეიყვანა. სამტრედიის ქვეყნის მსგავსად პირველად დაიწყო ამ წმინდანის სახელზე ტაძრის მშენებლობა. მოგვიანებით დაიწყო და, გასაგებია მიზეზების გამო, ჩვენს ტაძარზე ადრე ეკურთხა უნივერსიტეტის ბაღში მისი სახელობის ტაძარი. სიმბოლურია, რომ დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების დღეც აღინიშნება. ვულოცავ ყველა უნივერსიტეტს და სრულიად საქართველოს ამ დღეს.” – აღნიშნა ტაძრის მრევლმა, პედაგოგმა ნინო ტონიამ.

“მეხუთე წელია, ყველა დავითობა განსაკუთრებული დატვირთვით აღინიშნება წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში. ეს დღე მეფე წმინდანად შერაცხა ქართველმა ხალხმა. იგი დღესაც მფარველობს საქართველოს. ტაძრის მშენებლობის დროს ჩვენ ხშირად ვგრძობდით მის შუენუნას. მოგეხსენებათ, საქართველოში ყველაზე გავრცელებული სახელი გიორგია. ჩვენს შემთხვევაში კი, ტაძრის მშენებლობისას ყოველთვის ყველაზე მეტი დავითი მუშაობდა.” – ამბობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური. ცნობილია, რომ იგი აქტიურად გახლდათ ჩართული ტაძრის მშენებლობაში. ამჯერად კი აღნიშნა, რომ მალე უკვე დაწყებული სამეუფო რეზიდენციის მშენებლობაც დასრულდება.



მე ვარ ქართველი, მაზასაღამე, მე ვარ ევროპელი

ევროპისთვის რასხრობებს მთელი საქართველოს ყოფნილებას

ლევან გაბუნია

“საუკუნეების განმავლობაში ჩვენი სამშობლო იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, განუყოფელი ერთიანი თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის.

საქართველოს ხალხმა წარმოუდგინა სიძნელები და განსაცდელი გამოიარა და, აღბათ, თქვენ გესმით ჩემი და საქართველოს დედაქალაქის თითოეული წერის მიღწევა და დღევანდელი ისტორიული დღეს, როდესაც თქვენ საქართველოს გზა დაულოცეთ ევროპულ ოჯახში დასაბრუნებლად.

მე ბედნიერი და ამბი ვარ იმით, რომ სწორედ ჩვენს თაობას ხვდა წილად ბატონი აქ, ევროპის სასახლის ტრიბუნად წარმოვსთქვა ქართულად ეს რამდენიმე სიტყვა: მე ვარ ქართველი, მაზასაღამე, მე ვარ ევროპელი”.

ეს განცხადება ამონარიდი 1999 წლის 27 იანვარს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას სიტყვიდან, რომელიც მან ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე წარმოთქვა.

2017 წლის 2 თებერვალი... ამერიკიდან ეს თარიღი საქართველოსთვის მნიშვნელოვან მოვლენათა შორისაა, რამეთუ ამ დღეს აღსრულდა ყოველთა ქართველთა დიდი ხნის ოცნება, საქართველო გამხდარიყო ევროპული ოჯახის სრულყოფილი წევრი. ევროპის პარლამენტმა აბსოლუტური უმრავლესობით ხმა მისცა საქართველოს ვინაობის აღიარებას, რაც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენაა საქართველოს უახლეს ისტორიაში. როგორც აღინიშნა, ტექნიკური საკითხების მოწესრიგების შემდეგ, საქარ-

თველოს მოქალაქეები ევროპაში უვიზოდ მიმოსვლას შესძლებენ, თუმცა არის რიგი კანონქვემდებარე საკითხები, რომლებსაც საფუძვლიანად უნდა გაეცნონ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები და შემდეგ, როგორც სხვა საკანონმდებლო აქტს, პატივი სცენ და შეასრულონ ევროპულ სივრცეში აღიარებული ყველა კანონიერი მოთხოვნა.

საქართველოსთვის ვინაობის აღიარების მიზნების ისტორიულ ფაქტს გამოეხმაურა მსოფლიო, პოლიტიკური ელიტა.

საქართველოს მეგობარი სახელმწიფოები მხურვალედ ულოცავენ ქართველ ხალხს სანუკვარი ოცნების რეალიზაციას.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მოვლენამ ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქე აღაფრთოვანა (ცალკეულ სეპარტივისტთა გარდა).

“საქართველოსთვის ვინაობის აღიარების მიზნება ეს გახლავთ ჩვენი ქვეყნის აღიარება, დაფასება, ამავდროულად დიდი გამოცდაც. ქართველმა ხალხმა უნდა იგრძნოს უდიდესი პასუხისმგებლობა, ორმხრივად სასარგებლო უნდა იყოს ეს პროცესი”... ვკითხულობთ საქართველოს საპარლამენტოს განცხადებაში.


... თამაძის ინსტიტუტი ქართული კულტურის ნაწილია, რომელიც ოდითგან იღებს დასაბამს. მსგავსი რამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ შეუნიშნავთ, ჩვენი მონათესავე ბასეების გარდა.

... საქართველო-მცირე აზია-საბერძენეთი-ევროპა... ასეთია ვაზის გაფრცხვლების მარშრუტი. დიდი ხანია, არავინ დავობს ამას.

ერთი სიტყვით, ქართველებს ნამდვილად არ გვიხდება ისეთი ფასეულობების ძებნა, რასაც ეროვნული სიმდიდრე შეიძლება ეწოდოს და ჩვენი ეროვნული თვითშეგნებაც სწორედ ამ ფასეულობების ჩამოთვლით იწყება:

ისტორიული წარსული. უძველესი ფოლკლორი. ტრადიციები. ეკლესიები. ვაზი. ღვინო.

ჩვენ, ქართველებს ევროპოლოზობაცია გვახარებს და გვსურს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ევროპიდან ვისწავლით, გადმოვიღოთ ყოველივე გაუთვით-



წარსულს ჩაბარდა საელინოებში, საკონსულტაციოში ვინის მისაღებად საათობით, თვეობით დგომა და ლოდინის ყოვლად მომაბეზრებელი პროცესი.

უცხო მიმოსვლით ბინენსმენებს, მეწარმეებს შეეძლება, უფრო მარტივად მოახდინონ საკუთარი ბინენს-საქმიანობის გატანა და გაცნობა ევროპული სახელმწიფოებისათვის, რაც მეტი ბინენსპარტნიორის შექმნითა და რაღა თქმა უნდა, მათი ბინენს-საქმიანობის გაფართოებით იქნება გამოსატყობი.

ვინიტი 90 დღეს არ უნდა აღემატებოდეს.

ცნობიერებად, არამედ იმიტომ, რომ დიდ ევროპულ ოჯახს უფრო ახლოს, საფუძვლიანად გავაცნოთ მრავალსაუკუნოვანი ჩვენი კულტურა, მწერლობა, მიღწევები მეცნიერების სფეროებში.

გვწამს, გვჯერა საქართველო ღირსეული ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი იქნება.

ევროპოლოზობაცია კი ბევრ სიყვარულს მოუტანს ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს ქვეყანასა და ღვთისმშობელ ქართველ ერს.

ღმერთმა ინებოს!
... არ იქნება ურიგო, მკითხველს მოვა-



გონით, თუ რომელ საერთაშორისო ორგანიზაციებშია გაწევრიანებული ჩვენი ქვეყანა:

საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს პირველ დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს 1992 წლის 31 ივლისს საქართველოს გაწევრიანება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 179-ე წევრად.

საქართველო უკრაინასთან, აზერბაიჯანთან, მოლდოვასთან ერთად გაწევრიანებულია 1996 წელს დაფუძნებულ ორგანიზაციაში “სუამი”. ორგანიზაციის სახელწოდება წევრ ქვეყანათა აბრევიატურაა, მისი მიზანია ეკონომიკური ურთიერთობებისათვის ხელშეწყობა და დემოკრატიის განვითარება.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (ბისეკი) 1992 წლის 25 ივნისს სტამბულში დაფუძნდა. საქართველო ორგანიზაციაში იმთავითვე გაწევრიანდა.

1947 წელს შექმნილი “გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე” 1995 წლის 1 იანვარს, რეორგანიზაციის შედეგად, გარდაიქმნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციად, რომლის 137-

ე წევრად საქართველო 2000 წლის ივნისში მიიღეს.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია მექვიდრეა 1975 წლის 1-ლ აგვისტოს ჰელსინკიში ევროპის 33 სახელმწიფოს, ამერიკისა და კანადის მიერ დაფუძნებული ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირისა, რომელსაც 1995 წელს “ეუთო” ეწოდა. მისი მიზანია სახელმწიფოთა თანამშრომლობა უშიშროების საკითხებში შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით. ორგანიზაციაში საქართველო 1992 წლის ივნისში გაწევრიანდა.

ხშირად გვსმენია და ორი აზრი არაა, რომ საქართველო უძველესად გახდება “ნატოს” წევრი ქვეყანა.

და მაინც, რა სიყვარული მოგვცემს “ნატოში” გაწევრიანება?

მეტი შესაძლებლობები გვქნება საერთაშორისო პროცესებსა და მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაში თანაბარი მონაწილეობისა.

საშუალება გვქნება, საკუთარი ეროვნული ინტერესები განვახორციელოთ საერთაშორისო პროცესებისას.

მონაწილეობა მივიღოთ საქართველოსა და რეგიონისათვის არსებითი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში.

ნატო და ევროკავშირი, ორივე ორგანიზაცია იზარებს საერთო ფასეულობებსა და მიზნებს და თანამშრომლობს უსაფრთხოების მიუღწევად ასპექტებში, როგორც რეგიონში, ასევე მის მიღმა...

ასეთია მოუღებლად საქართველოს სტატუსი საერთაშორისო ორგანიზაციებში.

“გადღობის გეზი რა გვითქვის”

6060 ნაწილაკი

სამტრედიის მაჟორიტარი პარლამენტის წევრმა კიდევ ერთი წინასწარწერი დააბრუნა შეასრულა. გრიგოლ მიქელაძე 9 თებერვალს საჯავახოს თემში ამბულატორიულ ცენტრში მივიდა და საჩუქრად გადასცა კომპიუტერული ტექნიკა.

გრიგოლ მიქელაძე, მაჟორიტარი პარლამენტის წევრი: “როცა ამომრჩეველს ეხვდები, ვეცნობი ამა თუ იმ თემში არსებულ პრობლემებს, მქონდა სურვილი, მათთვის გამეწია დახმარება. ეს, იმ პერიოდში, როგორც მაჟორიტარობის კანდიდატს, საარჩევნო კანონმდებლობით მეკრძალებოდა. საჯავახოს თემში სტუმრობისას ვნახე სოფლის ამბულატორიული ცენტრი, რომელიც ესთეტიურად გამოიყურებოდა და სამედიცინო მომსახურებას უწევდა ადგილობრივ მოსახლეობას. პერსონალს არ გააჩნდა კომპიუტერული ტექნიკა, რითაც გაუადვილებოდათ ჯანმრთელობის დამატარებელი დოკუმენტის გაცემა. მე მათ შევპირდი, რომ არჩევნების შემდეგ აუცილებლად შევუძენდი ლეპტოპს და ე.წ. პრინტერს. დღეს მომეცა წინასწარწერი დაბრუნების შესრულების საშუალება”.

საჯავახოს თემში დეპუტატს მუნი-

ციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი, შველევ თარგამაძე სპეციალისტებთან ერთად დახვდა და ამბულატორიის ცენტრისკენ გაუძღვა. მასპინძლები ამ ფაქტით არანაკლებ გახარებულნი დარჩნენ.

შველევ თარგამაძე, გამგებლის წარმომადგენელი საჯავახოს თემში: “მოულოდნელი იყო ჩვენთვის დღეს დეპუტატის საჯავახოს თემში სტუმრობა. საჩუქარი, რომელიც გრიგოლ მიქელაძემ ამბულატორიას გადასცა, მთელი საჯავახოს თემის ოცნება იყო. ქალბატონი ცისანა თოდუა მაღალკვალიფიციური, გულისხმიერი ექიმი, რომელიც სოფელს ძალიან უყვარს.

რაც შეეხება დეპუტატის საჩუქარს, კომპიუტერს, აუცილებელი იყო საჯავახოს თემის ამბულატორიისთვის, რადგან ინტერნეტის და კომპიუტერის მეშვეობით ქალბატონ ცისანას გაუადვილდება საქმის წარმოება, მონაცემთა ბაზაში იოლად ნახავს ამა თუ იმ პაციენტს. ასე-

ვე, ელექტრონული ფოსტით გადაგზავნის წერილებს. მადლობა მინდა, გადაეუხადო დეპუტატს, ამ კონკრეტული მხ-



არდაჭერისათვის. იმედი გვაქვს, ბატონი გრიგოლი მეტ და მეტ სასიკეთო საქმეს გააკეთებს მთელი მუნიციპალიტეტისთვის”.

ცისანა თოდუა საჯავახოს თემის ამბულატორიული ცენტრის მთავარი ექიმი. სწორედ მისგან შეიტყო გრიგოლ



მიქელაძემ, თუ რა როლს პირობებში უწევდათ აქაურ სამედიცინო პერსონალს ინტერნეტისა და კომპიუტერის გარეშე მუშაობა.

“სიხარულისაგან ხმას ვერ ვიღებ. მართალია, დამპირდა ბატონი გრიგოლი არჩევნებამდე ჩვენი თხოვნის დაკმაყოფილებას, მაგრამ მას იმდენი საზრუნავი აქვს, არ მეგონა, ჩვენთვის ასე მალე თუ მოიცლიდა. სამტრედიის რაიონში მხოლოდ ჩვენ გვაქვს თანამედროვე ტი-

პის ამბულატორია, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებით.

მადლობის მეტი რა მეთქმის, ღმერთმა ყველა მუნიციპალიტეტს უძრავლოს გრიგოლ მიქელაძისნაირი მაჟორიტარი დეპუტატი, ჩვენს საქართველოს კი მისნაირი მამულიშვილები”. – “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში განაცხადა ცისანა თოდუამ.



ღანიჩისა და ნაბაკვის საბავშვო ბაღებისათვის თანამედროვე ტიპის შენობები აშენდება

ნათია ნაცვლიძე

ჩვენს მუნიციპალიტეტში მდებარე ნაბაკვისა და ღანიჩის საბავშვო ბაღების ძველი შენობები გარემონტებას არ ექვემდებარება. სწორედ ამ პრობლემის მოგვარებით იყო განპირობებული მუნიციპალიტეტის გამგებლის, ვალერიანე ფოცხვერიას, გამგებლის პირველი მოადგილის, დავით ბახტაძისა და ადგილობრივი თემთმართველობის ორგანოების სხვა წარმომადგენელთა სტუმრობა ამ ობიექტებზე. გაირკვა, რომ მიმდინარეობს მუშაობა, რათა ორივე საბავშვო ბაღი ახალ შენობებში გადავიდეს და სოფლად მცხოვრები პატარების საჯამრთველო პროცესი ბევრად კომფორტულ პირობებში წარიმართოს.

გამგებელი ჯერ ღანიჩის საბავშვო ბაღს ესტუმრა, სადაც 22 ბავშვია. გამგებელი დაინტერესდა ბავშვების კვებისა და გათბობის პირობებით და პედაგოგებსა და მმართველს გაესაუბრა. ღანიჩის ბაღის მმართველი, ეკა მანჯგალაძე: “დროულად მოგვეწოდება საკვები, შემა, პრობლემური მხოლოდ ძველი შენობაა, იგი არ ექვემდებარება რემონტს. გვირდებინ ახალ შენობას, რაც უდიდესი საქმე იქნება სოფლისათვის და ჩვენც ძალიან მადლიერები ვიქნებით.” ბაღის აღმშრდელმა ასევე გვითხრობს, რომ ბოლო პერიოდში მოსული ნაღველის გამო ორი ხე წაიჭა, შენობას დაეცა და სახურავი დაზიანდა, ამ პროცესში მათ ძალიან დაეხმარა წმინდა გიორგის ტაძრის მოძღვარი, მამა გიორგი დი-



ბრაძე. 60 ბავშვია ნაბაკვის ბაგ-ბაღში. მმართველი ეკა სანაძე: “შენობის პრობლემა გვაქვს მხოლოდ, გვაქვს სითბო, პროდუქტით დროულად ვმარაგდებით, გვეხმარება ადგილობრივი ხელისუფლება. კარგი იქნება, თუ ახალ შენობაში გადავალთ უახლოეს მომავალში.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ “სამტრედიის მაცნეს” განუცხადა: “ჩვენს მუნიციპალიტეტში 23 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს, ისინი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, მინდა ვთქვა, არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. მეტ-ნაკლებად ზოგი მათგანი უკეთეს მდგომარეობაშია. რაც შეეხება ნაბაკვისა და ღანიჩის ბაღებს, ამ დაწესებულებების ფუნქციონირებას არ შეიძლება ამ შენობებში, მაგრამ სოფლის მოთხოვნა და დროებით ფუნქციონირებს. ღანიჩისა და ნაბაკვში დაგეგმილი გვაქვს, მომავალში თანამედროვე ტიპის მშენებლობა განვახორციელოთ. წინასწარ არ ვიძლევი დაპირებას, მაგრ-

ამ გეგმით, რომ ნაბაკვში საქმე პროექტის დონეზეა, ღანიჩში კი პროექტი დასრულებამდე მისული. ვფიქრობთ, ამ ორი სოფლით დაეიწყებთ და სხვა სოფლების საბავშვო ბაღებსაც მიხედვით. ყველაფერი ფინანსდება დამოუკიდებელი. ღანიჩის თემის ადმინისტრაციულ შენობასთან ყოფილი უნივერსიტეტის შენობაა, ძველი შენობები ამორტიზებულია, ახლის აგებაზე არანაკლები ჯდება ძველის გარემონტება, ვნახოთ, შეიძლება ძველი გადაკეთდეს, ან თავიდან აშენდეს. რომელიც უფრო მეტ ეკონომიას მოგვცემს, მას ავირჩევთ.

– თანხები ამისათვის ბიუჯეტიდან გამოიყო თუ სხვა სახსრების მოზილნება დაგვირდებოდა?

– ღანიჩისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გვაქვს თანხა გათვალისწინებული, ნაბაკვისთვის კი მოლაპარაკება გვაქვს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, მალე გადაწყდება, დააფინანსებენ თუ არა. ამ ფონდთან ადრეც გვექონია თანამშრომლობა გზებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართუ-



ლებით”.

დავით ბახტაძე, გამგებლის პირველი მოადგილე: “პროექტის მიხედვით, დაგეგმილია ღანიჩის ცენტრში არსებული ორსართულიანი კაპიტალური შენობის გარემონტება და შემდგომში მასში საბავშვო ბაღის განთავსება. ნაბაკვის ბაღისათვის პროექტის შესყიდვის პროცედურები

დასრულებულია, ტენდერი დასრულდა და გამარჯვებული კომპანია გამოვლინდა, ეს არის შპს “ეკა-დინამიკი”, ეს ორგანიზაცია ამზადებს სარემონტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, აღნიშნული დოკუმენტაციის მოწოდების შემდეგ ვაპირებთ სახსრების მონივრულ, რათა განხორციელდეს პროექტის მიხედვით ბაღის მშენებლობა.”

გოგა ძიგუასა და ჯეიმი ზოლქვაძის ორი ოქრო

სამხედრო მოჭიდავეების გუნდი საუკეთესოდ აღიარეს

ნათია ნაცვლიძე

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სამტრედიელი მოჭიდავეების წარმატებებმა მიუღიო საქართველო ადამიანთა. თავისუფალი სტილით მოჭიდავე სამტრედიელი სპორტსმენების გუნდი ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ საუკეთესო ნაკრებად აღიარა და შესაბამისი თასით დააჯილდოვა.

3-5 თებერვალს ქალაქ ყვარულში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, სადაც ჩვენი მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალაგანის" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) მოჭიდავეებიც მონაწილეობდნენ.



ამ ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ვეფხია სტურუას: "საქართველოს პირველობა სამტრედიის ნაკრები გუნდისათვის საკმაოდ წარმატებული გამოდგა, რადგან ჩვენმა სპორტსმენებმა ორი პირველი, ერთი-მეორე და სამი მესამე ადგილი მოიპოვეს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გოგა ძიგუას (50 კილოგრამი წონითი კატეგორია) და ედემი ბოლქვაძის (60 კილოგრამი წონითი კატეგორია) ასპარეზობა (მწვრთნელები ბიძინა მელაშვილი და ზაზა არქანიანი). ამ სპორტსმენებმა ხუთ-ხუთი შეხვედრა გამართეს, ხუთივე დამაჯერებლად მოიგეს და ჩემპიონობა არავის დაუთმეს. შესაბამისად, ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლებაც მოიპოვეს, რომელიც იენისში გერმანიის ქალაქ დორტმუნდში გაიმართება. ასევე წარმატებით იასპარეზეს 60 კილოგრამ წონითი კატეგორიაში შმაგი თოღუამ, 66 კილოგრამ წონითი კატეგორიაში გია ავალიანმა, რომლებიც მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდნენ (მწვრთნელები ბიძინა მელაშვილი, ზაზა არქანიანი). ასევე, 66 კილოგრამ წონითი კატეგორიაში ივერა ჯულაყიძემ მეორე ადგილი მოიპოვა, ხოლო 84 კილოგრამ წონითი კატეგორიაში დემურ მეგვინიშვილმა – მესამე ადგილი (მწვრთნელები ვეფხია და ლაშა სტურუები).

ამ მნიშვნელოვან ტურნირს საჭიდაო კლუბის დირექტორი, ირაკლი მელაშვილი და მასთან ერთად უამრავი სამტრედიელი გულშემოტკივარი ესწრებოდა.

ირაკლი მელაშვილი: " ჩემთვის ორმაგად მნიშვნელოვანია ეს გამარჯვება. ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ სამტრედიის მოჭიდავეთა ნაკრები საუკეთესოდ აღიარა და თასით დაასაჩუქრა. ვულოცავ სამტრედიელ სპორტსმენებს ამ მნიშვნელოვან წარმატებას და არაერთ გამარჯვებას ვუსურვებ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე. მაღლობა მინდა გადავუხადო სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობას და საკრებულოს ფინანსური მხარდაჭერისა და თანადგომისათვის."



უფარღათი და უფარტი ჭაღრაკი სამტრედიელში

ლევან ბაბქაძე

საერთაშორისო დიდოსტატი, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ჭაღრაკი დავით ბრონშტეინი სამტრედიისა და სამტრედიელების ხშირი, სასურველი სტუმარი იყო. უამრავი მეგობარი ჰყავდა აქ ბატონ დავითს.

გასული წლის დეკემბერში 10 წელი შესრულდა ბატონი დავითის გარდაცვალებიდან, ამასთან დაკავშირებით, მისი უერთგულესი მეგობარი, საქართველოს ეროვნული ოსტატი ჭაღრაკში, ბატონი მერაბ არჩვაძე მინსკში ჩავიდა, სამტრედიიდან ქართული მიწა თან წაიღო და მეგობრის საფლავს მოახშია იმ ლამაზი დღეების სახსოვრად, ერთად რომ გაუტარებიათ.

სურათზე: დავით ბრონშტეინის საფლავთან. ბატონები: ვაჟა ტყეშელაძე, დავით ბრონშტეინი და მერაბ არჩვაძე. (ფოტო 1981 წელსაა სამტრედიელში გადაღებული და დასტურია ამ სამი ადამიანის მეგობრული ურთიერთობებისა).



ვულოცავთ!

ბატონ ლევან ბიურგაძეს!

ღვაწლმოსილ ექიმს, ბატონ ლევან ბიურგაძეს პატივისცემით ვულოცავთ 90 წლის შესრულებას.

ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ პაციენტთა და კეთილისმსურველთა გასახარად.

"სამტრედიის აცხე"



ბატონ ლევან ბიურგაძეს!

პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს – 90 წლის შესრულებას. ნახევარი საუკუნეა თქვენ საოცარი სიფარულით ემსახურებით სამტრედიელთა ჯანმრთელობის დაცვას. უფვარხართ, გაფასებენ სამტრედიელში. კვლავ დიდხანს, მრავალ წელს გეცხოვროთ და გელაწოთ.

კახიშვილი: ბაჩან ბიურგაძე, თაგან მურაღაძე

ბატონ ლევან!

გილოცავთ დაბადების 90-ე წლისთავს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს! თქვენ დიდებული პიროვნება ბრძანდებით, როგორც ექიმი, მოქალაქე და ადამიანი.

თაგან შურაღაძე

ჩვენი გაზეთის ერთგულ მეთხველსა და უხუცეს შტატგარეშე კორესპონდენტს, **ბატონ ბორის კახიანს**

ვულოცავთ დაბადების დღეს.

ბედნიერ დღეთა სიმრავლესა და ოჯახის კეთილდღეობას ვუსურვებთ.

"სამტრედიის აცხე"

დაბადების დღეს ვულოცავთ ბატონებს,

ნაზარ ნაზარას და ანზორ კოპალაშვილს,

ნაღ ქართველებს, ჭეშმარიტ სამტრედიელებს. იხარეთ, იღვებოდეთ!

მამოზაძე

რედაქციის მისამართი: სამტრედიის რაიონული პ. №6 ტელ: 790 391839



დირექტორი ბაჩან ბიურგაძე

მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაღრაკი

გამომცემი რედაქტორი თაგან ბაბქაძე

პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბქაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძე